



## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

---

### ბაქრაძე ანა კონსტანტინეს ასული

ბაქრაძე ანა კონსტანტინეს ასული ( დ. 1. IX. 1923, თბილისი), ისტორიკოსი, ისტ. მეცნ. დოქტორი (1991).

1945 დაამთავრა თსუ-ის ისტ. ფაკ-ტი. 1951-58 მუშაობდა აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართვე. სახელმწ. მუზეუმში, 1958-68 – საქართვე. მეცნ. აკად. ს. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინ-ტში. 1969-იდან მუშაობდა ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტ. და ეთნოლოგიის ინ-ტში. ბ-ის კვლევის ობიექტია არქეოგრაფია, არქივთმცოდნეობა, გენეალოგია, სფრაგისტიკა. მონაწილეობა მიიღო ხელნაწერთა აღწერილობაში, პირთა ანოტირებული ლექსიკონის შედგენაში, ნ. ჯავახიშვილთან ერთად დაამუშავა ივ. ჯავახიშვილის პირადი არქივი (1976), რაშიც მიიღო ნ. ბერძენიშვილის სახ. პრემია (1980).

*თხზ.*: საქართველოს მუზეუმის ქართული ეპიგრაფიკული ძეგლების კატალოგი, თბ., 1950, თუმანიშვილთა გენეალოგიის დადგენის ცდა, „ხელნაწერთა ინ-ტის შრომები“, 1963, ტ. 5; მასალები ქართული სფრაგისტიკის ისტორიისათვის, 1-2, თბ., 1978-88; მდივან-მწიგნობრის სახელოს საკითხისათვის, „მაცნე“, 1966, 6.; Грузинская сфрагистика и состояние ее изучения, Восточное историческое источниковедение и специальные исторические дисциплины, вып. 3, М., 1995.

---